საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-607

26/07/2018

ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის „სნო – ჯუთა – როშკა– შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის "ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01 მონაკვეთის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-12 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის „სნო – ჯუთა – როშკა – შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის "ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01 მონაკვეთის" პროექტზე სკოპინგის დასკვნა N19; (03.07.2018 წ.);
2. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N19; (03.07.2018წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საავტომობილო გზების დეპარტამენტს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საავტომობილო გზების დეპარტამენტის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი